ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4380673

ნომერი: AR1659939

თარიღი : 11.02.2019

გაცემის თარიღი : 18.02.2019

გაცნობის თარიღი : 21.02.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , კვარტალი IV , (ნაკვეთი 004/012);

დამკვეთი-განმცხადებელი
- კარლო ალექსიძე პ/ნ 01023005908
- თბილისი ს. დიღომი ხატაეთის ქ. N 6

ორგანიზაცია:
- შპს "ალდა ჯგუფი" კოდი: 405104943

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349253 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 11 თებერვალს №AR1659939 განცხადებით მომართა კარლო ალექსიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349253 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349253 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, კვარტალი IV, (ნაკვეთი 004/012)-ში, N01.10.07.004.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349253 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ფუნციური ზონის ნაწილში საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ნაცვლად დაფიქსირებულია საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). ასევე, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ველშიც საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრების ნაცვლად დაფიქსირებულია საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრები. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს ზემოაღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორებას.
სამსახურმა შეისწავლა დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, კვარტალი IV, (ნაკვეთი 004/012)-ში, N01.10.07.004.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შესაბამისად, სამსახურის ბრძანებაში საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) ნაცვლად უნდა დაფიქსირდეს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) შესაბამისი პარამეტრებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349253 ბრძანებაში და მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის ველში საცხოვრებელი ზონის 5-ის (სზ-5) ნაცვლად დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: „საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) — მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს “.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349253 ბრძანებაში კონკრეტული ფუნქციური ზონის პარამეტრების ველში, საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) ნაცვლად დაფიქსირდეს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) შესაბამისი პარამეტრებით:
განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:
კ-1 0,5
კოეფიციენტი
კ-2 2.5
კოეფიციენტი
კ-3 0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–

ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
600/700* კვ.მ
მინიმალური სიგანე
15/20*
მეტრი
მინიმალური სიღრმე
25/30*
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349253 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349253 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.